გვიხმობს „მოსავალი-80“

ჩვენი წვლილიც უნდა იყოს!

ერთი კვირაც და შემოდგომა შემოაბიჯებს ჩვენს ზვრებში, მეათე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის შემოდგომა.

მუხლჩაუხრელად და მკლავმოუღლელად იშრომეს საქართველოს მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის მუშაკებმა და აი, დგება ყველაზე საპასუხისმგებლო ეტაპი — მთელი წლის ნაშრომ-ნაამაგარის მომკისა და დაბინავების დრო.

სექტემბრიდან რთველი იწყება — საქართველოს მევენახეთა ზეიმი, გამრჯე მარჯვენით მოპოვებული ჭირნახულის ზეიმი. უკვე მოდის ცნობები იმის თაობაზე, რომ მევენახეებმა მაღალხარისხოვანი ყურძნის პირველი ტონები მიიტანეს სახელმწიფო მარანში. ახალ-ახალ მიჯნებს იპყრობენ ჩვენი სახელოვანი მეჩაიეები, თავთავიანი კულტურების მოყვანის ოსტატები, დიდი ამოცანების წინაშე დგანან მეციტრუსეები, საკვებმომპოვებლები...

ამ დღეებში არაერთი მისაბაძი თაოსნობის მოწმენი გავხდით. რესპუბლიკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელები აღფრთოვანებით შეხვდნენ ცნობას სკკპ XXVI და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობების მოწვევის შესახებ. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმზე ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებამ საქართველოს მშრომელების, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანის შრომითი ენთუზიაზმი გამოიწვია. ისინი ერთსულოვნად უჭერენ მხარს პარტიის პოლიტიკას და მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი დამკვრელური შრომით, გაზრდილი ვალდებულებებით აღნიშნონ X ხუთწლედის ფინიში.

წლევანდელი წელი განსაკუთრებული იყო მსოფლიოს ახალგაზრდებისათვის; წლეულს საერთაშორისო სპორტული მოძრაობის ისტორიაში პირველად ჩატარდა ოლიმპიური თამაშები სოციალისტურ ქვეყანაში. მოსკოვმა ღირსეული მასპინძლობა გაუწია XXII ოლიმპიადას, რომელიც საბჭოთა სპორტის დიდი გამარჯვებით აღინიშნა. ამ საერთო წარმატებაში საქართველოს სპორტსმენებმაც შეიტანეს მნიშვნელოვანი წვლილი — 12 მათგანი ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი და პრიზიორი გახდა.

ახლა ოლიმპიელებისგან რესპუბლიკის ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა მრავალათასიანმა არმიამ უნდა მიიღოს ესტაფეტა, გამოავლინოს ერთსულოვნება და შემართება, სოფლის მეურნეობის მუშაკების მხარდამხარ დადგეს შრომითს ვახტზე. დიახ, ფიზკულტურელებმა და სპორტსმენებმაც უნდა აუბან მხარი რესპუბლიკის მთელი რიგი რაიონების მშრომელთა პატრიოტულ თაოსნობას, რამაც უნდა უზრუნველყოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდისთვის აუცილებელი რეზერვების უფრო სრულად გამოყენება, მინდვრებისა და ბაღ-ვენახების მოსავლიანობის ამაღლება, მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდება.

საინტერესო ინიციატივა გამოიჩინეს ჩვენმა მეზობლებმა — ჩრდილოეთ ოსეთის ფიზკულტურელებმა და სპორტსმენებმა. აქ შეიქმნა რამდენიმე სპორტული ბრიგადა და გაიგზავნა მთიან რაიონებში. ერთ-ერთ ასეთ ბრიგადას რსფსრ-ს დამსახურებული მწვრთნელი კ. სუმენოვი ჩაუდგა სათავეში. სპორტსმენებმა 10 დღეში 35 ტონა თივა დაამზადეს. ბრიგადაში ირიცხებიან გამოჩენილი სპორტსმენები — ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ს. ანდიევი, ოლიმპიადის პრიზიორები, მოფარიკავეები ლ. ცაგარაევა, ა. მოჟაევი და სხვები. ისინი შრომობენ დევიზით: „სპორტში პირველები — შრომაშიც პირველები“.

კარგი იქნება თუ ამ თაოსნობას გამოეხმაურებიან ჩვენი რესპუბლიკის სპორტული ორგანიზაციები, პირველ რიგში კი ტყიბულის, მახარაძისა და ქარელის რაიონები, სადაც გაიზარდნენ ოლიმპიადის გმირები ქ. ლოსაბერიძე, ვ. ბლაგიძე, და შ. ხაბარელი.

მაშ ასე, შემოდგომა კარს მოგვადგა, X ხუთწლედის დამამთავრებელი წელი ფინიშს უახლოვდება. გვჯერა, რომ საქართველოს ფიზკულტურელები და სპორტსმენები, როგორც სპორტულ სარბიელზე, ასევე არც შრომით ფრონტზე შეირცხვენენ თავს, ღირსეულ წვლილს შეიტანენ სამშობლოს ხვავისა და ბარაქის გამრავლებაში.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 165 (6726)

24 1980 წ. აგვისტო, კვირა.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ოღონდაც!

თავისუფლების კუნძულის ქალაქ სანტიაგო-დე-კუბას სარბიელზე ამ დღეებში გამართულ მძლეოსანთა ტრადიციულ საერთაშორისო ასპარეზობა, რომელიც „მეგობრობის“ სახელითაა ცნობილი, კვლავინდებურად უაღრესად დაძაბული ბრძოლით გამოირჩეოდა.

ეს განსაკუთრებით იგრძნობოდა გუნდურ პირველობაში, სადაც ფავორიტებად სსრ კავშირისა და გდრ-ის წარგზავნილები ითვლებოდნენ. თავისებური „მინი-მატჩი“ გერმანელ სპორტსმენთა გამარჯვებით აღინიშნა, რომელთა ანგარიშზე 34 მედალია — აქედან 19 ოქროსი, საბჭოთა მძლეოსნებმა კი სულ 31 სხვადასხვა ღირსების მედალი მოიპოვეს, რომელთა შორის მხოლოდ 5-ია უმაღლესისა.

ქართველ გულშემატკივრებისათვის განსაკუთრებით სასიამოვნოა, რომ საბჭოთა გუნდის ლიდერთა შორის იყო ლეგენდარული ვიქტორ სანეევის „შთამომავალი“ იმედისმომცემი ახალგაზრდა სამმხტომელი **ს. ახვლედიანი**, რომელმაც შესანიშნავი შედეგით — 16 მეტრი და 36 სანტიმეტრი გაიმარჯვა. ეს „მეგობრობის“ ტურნირის ახალი რეკორდიცაა. მძლეოსნობის ამ სახეობაში მესამე ადგილი (16 მ 08 სმ) წილად ხვდა მეორე საბჭოთა ჭაბუკს **დ. ლიტვინენკოს.**

ასპარეზობაზე თავი ისახელა აგრეთვე კიდევ ერთმა ქართველმა სპორტსმენმა, კერძოდ კი სპრინტერმა **მ. აზარაშვილმა**, რომელმაც გოგონათა შორის 100 მეტრზე რბენაში შედეგით 12,44 საპატიო მესამე ადგილი მოიპოვა.

ყველას კარგად გვახსოვს შესანიშნავი ქართველი მოჭადრაკის ნონა გაფრინდაშვილის მიერ სადედოფლო ტახტისკენ გაკაფული ნარ-ეკლიანი სავალი, რის შედეგადაც დღეს ჩვენი ქალთა საჭადრაკო სკოლა მსოფლიოში არავის უდებს ტოლს. ვინ იცის, იქნებ ჭაბუკ ს. ახვლედიანის სახით სანეევსაც ეზრდება ღირსეული მემკვიდრე? — ოღონდაც!

„მეგობრობის“ ახალი რეკორდსმენი ს. ახვლედიანი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტია და მწვრთნელ ს. მუხიგულაშვილის ხელმძღვანელობით ეუფლება სამხტომის საიდუმლოებებს.

„ოქრო“ ვარდების ველიდან

მთელ მსოფლიოში ცნობილი ვარდის ჯიშის — ყაზანლიყის სამშობლოში (იგი ბულგარეთში ყაზანლიყის ველზე მოიყვანეს პირველად) გრძელდება მსოფლიოს XV ჩემპიონატი საპარაშუტო სპორტში. ასპარეზობაზე დიდი წარმატება ხვდა საბჭოთა სპორტსმენს ალექსანდრა შვაჩკოს. მან არავის დაუდო ტოლი 2000 მეტრის სიმაღლიდან აკრობატულ ხტომაში და ოქროს მედალი მოიპოვა. ამისათვის მან 28.60 წამი „დახარჯა“, რაც ახალი მსოფლიო რეკორდია.

საბჭოთა ქალიშვილს გამარჯვება ბოლო — მეოთხე ნახტომმა მოუტანა-დაუყოვნებით. შვაჩკომ 6,87 წამში უნაკლოდ შეასრულა ეს ექვსფიგურიანი კომპლექსი, რითაც გაუსწრო ასპარეზობის ლიდერ ამერიკელ სტერნსს. ამ უკანასკნელის შედეგია ოთხჭიდში — 28.77. მესამე ადგილი წილად ხვდა გდრ-ის პარაშუტისტს ვალჰოფს — 29 წამი. სულ ჩემპიონატში 58 პარაშუტისტი ქალი გამოდიოდა.

ცოტა რამ ჩემპიონის შესახებ: იგი ვოროშილოვგრადის აეროკლუბის აღზრდილია და მეოთხედ გამოდის მსოფლიო ჩემპიონატში. წინა პირველობებზე მოპოვებული აქვს ორი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალი. მის ანგარიშზე 5.580 ნახტომია.

● ჭადრაკი

მაია ტურნირის სათავეში

ფინიშის მოახლოებასთან ერთად იმატა დაძაბულობამ სსრ კავშირის ვაჟთა 48-ე ჩემპიონატის ნახევარფინალებში, რომლებიც ერთდროულად ოთხ ქალაქში მიმდინარეობს. ყველგან გათამაშდა X ტურის შეხვედრები.

ტალინში მაია ჩიბურდანიძემ მოუგო ოდესელ ოსტატ ვ. ეინგორნს და 6,5 ქულით შეჯიბრების სათავეში ჩაუდგა. მოჭადრაკე ქალს კვალში მიჰყვებიან საერთაშორისო ოსტატი ვ. ოსნოსი — 6 და დიდოსტატი დ. ბრონშტეინი — 5,5 ქულა 9-დან.

ამ დღეს ბრონშტეინმა 2 ქულა მიიღო: მას დანებდა სუეტინი VIII ტურიდან გადადებულ პარტიაში, მერე კრემენეცკის მოუგო. დვოირისი დამარცხდა დიდიშკოსთან. ჟურავლიოვმა სძლია კაკაგელდიევს, გიპსლისმა — ოსნოსს. ყაიმზე შეთანხმდნენ ვეინგოლდი — ელვესტი.

დნეპროპეტროვსკში მხოლოდ ოთხი შეხვედრა დამთავრდა. ზ. სტურუამ მოუგო იურტაევს, მალანიუკმა — ანიკაევს. პოპოვი — სავონი და ჩერნინი — კოზლოვი ყაიმზე შეთანხმდნენ. ზ. აზმაიფარაშვილმა გადადო პარტია პანჩენკოსთან. ლიდერობს ე. ვასიუკოვი — 6,5 (1).

კრასნოდარში ყველას გაასწრო ერევნელმა ს. ლპუტიანმა — 7 ქულა. ს. პალატნიკს 6,5 ქულა აქვს, ვ. ცეშკოვსკის — 6 (1).

საანგარიშო ტურში ლპუტიანმა მოუგო მაშიანს, პეტრუშინმა — იტკისს, ხოლო არბაკოვმა — ბუტნორიუსს. პალატნიკი დაუზავდა ბაგიროვს, პლატონოვი — პოდგაეცს.

კრასნოიარსკში ოთხი პარტია ყაიმით დამთავრდა, დანარჩენი გადაიდო. დაზავდნენ ვესელოვსკი — გუფელდი, ლუტიკოვი — კუზმინი, დორფმანი — პიგუსოვი და კორსუნსკი — ტიმოშჩენკო. აქ ლიდერობენ ი. დორფმანი — 6,5, ლ. ფსახისი — 6 (1), ე. გუფელდი, გ. კუზმინი — 6-6.

თითქოს შეთანხმდნენ

კიშინიოვი, 23 აგვისტო (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). სსრ კავშირის ქალთა მე-40 ჩემპიონატის აქ მიმდინარე ნახევარფინალში გაიმართა კიდევ ორი, X და XI ტური.

X ტურში დიდი ინტერესი გამოიწვია ლიდერების პარტიებმა. ქ. მელაშვილი შეხვდა ა. გრინფელდს, გ. სტრუტინსკაია — თ. ხუგაშვილს. ახალგაზრდა მელაშვილმა გამოცდილ მეტოქესთან მინიმალური უპირატესობა მიიღო, მაგრამ მისი გამოყენება შეუძლებელი აღმოჩნდა — ყაიმი. მწვავედ მიმდინარეობდა ხუგაშვილი — სტრუტინსკაიას პარტია, რომელიც სიცილიური დაცვით დაიწყო. მძაფრი ბრძოლის შემდეგ პარტია რთულ პოზიციაში გადაიდო.

ნ. ალაბაბიანმა (კიშინიოვი) მოუგო რ. პოპივოდას (მოსკოვი), ე. ელინამ (დნეპროპეტროვსკი) — რ. კარტანაიტეს (ვილნიუსი), ტ. ურეცკაიამ (მინსკი) — ე. გოლდმანეს (რიგა) და ლ. მუჩნიკმა (ნიკოლაევის ოლქი) — ხ. როზიბაევას (ჩარჯოუ).

XI ტურში ყველა ლიდერი დამარცხდა. ქ. მელაშვილმა, სტრუტინსკაიამ და მუჩნიკმა პირველი „0“ ჩაიწერეს სატურნირო ცხრილში. მელაშვილმა უკეთესი პოზიცია მიიღო კარტანაიტესთან, მაგრამ ცაიტნოტში მოხვდა და უხეშად შეცდა, სტრუტინსკაიას მოუგო გოლდმანემ, ე. ბელოვას (ლენინგრადი) — ურეცკაიამ, მუჩნიკს — ხამრაკულოვამ.

ყაიმზე შეთანხმდნენ ალაბაბიანი — ელინა და პიარნპუუ — პოპივოდა.

11 ტურის შემდეგ ქ. მელაშვილს 8 ქულა აქვს, გ. სტრუტინსკაიას — 7 ქულა და ერთი გადადებული პარტია, ე. ბელოვას — 6,5 (1), ლ. მუჩნიკს, რ. კარტანაიტეს — 6,5-6,5, ე. ელინას — 6.

ვ. ბახტაძე,
საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ჭადრაკის სპეციალიზაციის სტუდენტი, ოსტატობის კანდიდატი.

ნახევარი ქულაც ჰყოფნის...

აბანო ტერმში (იტალია) მიმდინარე ვაჟთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტების ლ. პორტიშ — რ. ჰიუბნერის ნახევარფინალურ მატჩში, როგორც ცნობილია, გადადებული იყო IX და X პარტიები. გუშინწინ ამ პარტიებში ბრძოლა განახლდა.

ჰიუბნერმა ორივე შეხვედრა მოიგო და დაწინაურდა — 6:4.

შეჯიბრების დებულებით, მეტოქეებმა 12 პარტია უნდა ითამაშონ. ჰიუბნერს დარჩენილ ორ პარტიაში მხოლოდ ნახევარი ქულა ჰყოფნის, ფინალის საგზური რომ მოიპოვოს.

● პიონერული ზაფხული

„ცისკარი“ ყველა ქალაქს სჯობს!

ქვეყანად უამრავი ქალაქი არსებობს და, როგორც წესი, ყოველი მათგანი რუკაზეა აღნიშნული. თუმცა არის ქალაქი, რომელსაც ვერც ერთ რუკაზე ვერ აღმოაჩენთ, მაგრამ მის ბინადართ რომ ჰკითხოთ, მათ ქალაქზე უკეთესს დედამიწის ზურგზე ვერ იპოვით. „საიდუმლოს“ გაგანდობთ: ეს ქალაქი თბილისიდან რაღაც ოცდაათიოდე კილომეტრის მოშორებით მდებარეობს, თიანეთის გზაზე. ადრე ამ ადგილს ცხვარიჯამი ერქვა...

„ცისკარი“ პიონერთა ქალაქია, ჰყავს თავისი „მერი“ — ვ. ყიფიანი, რომელიც „ცისკრის“ პიონერთა ბანაკების გაერთიანების გენერალური დირექტორი გახლავთ, ქალაქის „მერს“ თავისი მოადგილეც გააჩნია, უფროსი პიონერხელმძღვანელი თ. ჩბაძე.

— ჩვენი ქალაქის ტერიტორიაზე 16 ბანაკია. ვმუშაობთ სამ ნაკადად! — გვითხრა ვ. ყიფიანმა — წელსაც შინაარსიანად გაატარეს ზაფხული ბავშვებმა: სხვა ღონისძიებებთან ერთად შიდა საბანაკო სპარტაკიადებს ვატარებდით, შემდეგ გავმართეთ 4-დღიანი საქალაქო სპარტაკიადა, რომელიც მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებს მიეძღვნა. სპარტაკიადაში განათლების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის ბანაკმა „ნაკადულმა“ გაიმარჯვა.

— ქალაქის წლევანდელი სეზონის გახსნისას ჩვენთან ჩამობრძანდა წარსულში სახელგანთქმული ფეხბურთელი ბორის პაიჭაძე — განაგრძო ვ. ყიფიანმა. — პიონერხელმძღვანელმა — ქალაქის ბინადართ ფეხბურთის ბურთი აჩუქა თავისი ავტოგრაფით. სწორედ ეს ბურთი გავათამაშეთ პრიზად საქალაქო სპარტაკიადაში, დიდი მონდომებით იბრძოდნენ ჩვენი ფეხბურთელები საპატიო პრიზის მოსაპოვებლად, გამარჯვება ბანაკ „თბილისის“ გუნდს ხვდა წილად.

ცხვარიჯამს შუაზე მდინარე ყოფს, ალბათ, დროთა განმავლობაში აქ პატარ-პატარა წყალსაცავები და პლაჟებიც გაჩნდება. ადგილმდებარეობის მრავალფეროვან რელიეფს თუ დავუკავშირებთ, მთის პიონერული რკინიგზის მოწყობის იდეაც დაებადებათ... მაგრამ ეს მომავლის ამბავია და, ალბათ, სპეციალისტებს გაცილებით უკეთესი პროექტები გააჩნიათ...

საოცარია, რაღაც ოცდაათიოდე კილომეტრით „ცისკარი“ თბილისიდან დაშორებულა და აქ ამოსულ კაცს აქაური სუფთა და გრილი ჰაერი გაგრძნობინებს, რომ სადღაც ბაკურიანში, ან ცხრაწყაროს უღელტეხილზე იმყოფები. მართლაც რომ ბრწყინვალე მიგნებაა, სოფელ ცხვარიჯამის გადაქცევა ბავშვთა ქალაქად.

ვ. როსტიაშვილი,
სპორტის ოსტატი.

ოლიმპიადის ექო

დიპლომი—დიპლომატებს

22 აგვისტოს მოსკოვში „ოლიმპიადა-80“-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე ი. ნოვიკოვი შეხვდა XXII ოლიმპიურ თამაშებზე აკრედიტებულ სსრ კავშირში დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაურებს.

მიესალმა რა დიპლომატებს, ი. ნოვიკოვმა აღნიშნა, რომ მოსკოვის XXII ოლიმპიური თამაშების შემდეგ, რაც დრო გადის, მით უფრო ნათლად ვლინდება მისი, როგორც ჩვენი პლანეტის ცხოვრებაში უდიდესი მოვლენის მნიშვნელობა. „ოლიმპიადა-80“-მა, რომელიც ჩატარდა მაღალ სპორტულ, ორგანიზაციულ და ტექნიკურ დონეზე, ახალი იმპულსი მისცა კეთილშობილური ოლიმპიური იდეალების შემდგომ განვითარებას, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცებას.

საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დიპლომატებს მოსკოვის XXII ოლიმპიური თამაშების წარმატების საქმეში მათი პირადი წვლილისთვის.

ი. ნოვიკოვმა დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაურებს გადასცა დიპლომები და „ოლიმპიადა-80“-ის საორგანიზაციო კომიტეტის სამახსოვრო მედლები. (საქდესი).

„განუმეორებელი მოვლენა“

ამანი. „მოსკოვის ოლიმპიადა — ეს განუმეორებელი მოვლენაა ყველა სპორტსმენის ცხოვრებაში“, — განუცხადა საქდესის კორესპონდენტს იორდანიის ოლიმპიური დელეგაციის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა მუჰამედ ჰამდანმა.

ზოგიერთი ქვეყნის წარმომადგენელთა არყოფნას, არავითარი გავლენა არ მოუხდენია ოლიმპიური თამაშების წარმატებით ჩატარებაზე. დამყარდა ახალი მსოფლიო რეკორდები, თამაშები მთელი კაცობრიობის სიამაყედ იქცა.

ჩვენ, როგორც მუსულმანებს, არ გვიგრძვნია რელიგიური გრძნობის მცირეოდენი შელახვაც კი. ოლიმპიურ სოფელში იყო სალოცავები სხვადასხვა რელიგიის მორწმუნეთათვის.

ორჯონიკიძე. საბჭოთა მეურნეობა „ძუარიკაუში“ უჩვეულო პრიზი გადაეცა ჩრდილოეთ ოსეთის მოჭიდავეთა გუნდს, რომლითაც მათ მიერ სარბიელზე მოპოვებული გამარჯვებები კი არა, არამედ საკვების დამზადებაში სპორტსმენთა დამკვრელური შრომა აღინიშნა.

ჩრდილოეთ ოსეთის სპორტკომიტეტმა შეადგინა რამდენიმე „სპორტული ბრიგადა“ და გაგზავნა ისინი მთიან რაიონებში.

შრომაში-ოლიმპიურად...

ერთ-ერთ ბრიგადას, რომელიც „ძუარიკაუში“ მუშაობდა, სათავეში ჩაუდგა რსფსრ-ის დამსახურებული მწვრთნელი კ. სუმენოვი. 10 დღის განმავლობაში სპორტსმენებმა 35 ტონა თივა დაამზადეს.

ჩრდილოეთ ოსეთის სპორტკომიტეტმა დაამტკიცა რესპუბლიკის რაიონებში სპორტული ბრიგადების „რეიდების“ მარშრუტი. სპორტსმენები დევიზით — „სპორტში პირველები — შრომაშიც პირველები“ დაეხმარებიან მხვნელ-მთესველებს, ბრიგადაში ჩარიცხული არიან ჩრდილოეთ ოსეთის ოლიმპიელი სპორტსმენები — ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი, მოჭიდავე ს. ანდიევი, ოლიმპიური თამაშების პრიზიორები, მოფარიკავეები ლ. ცაგარაევა და ა. მოჟაევი.

სპორტსმენები მინდვრებში მუშაობასთან ერთად მოაწყობენ საუბრებს მოსკოვის ოლიმპიადაზე — სპორტის, მშვიდობისა და მეგობრობის ზეიმზე. მონაწილეობას მიიღებენ საჩვენებელ გამოსვლებში და პრაქტიკულ დახმარებას გაუწევენ სოფლის მწვრთნელებს. (საქდესი).

ჩემპიონთა გალერეა

გერდ ვესიგი: „ახალ სიმაღლეებზე ვოცნებობ“

როგორც ცნობილია, საქდესის სპორტული რედაქციის თხოვნით, მოსკოვის XXII ოლიმპიური თამაშების დამთავრების შემდეგ მსოფლიოს ეროვნული საინფორმაციო სააგენტოების წარმომადგენლებმა დაასახელეს მოსკოვის ოლიმპიადის ათი მონაწილე, რომლებმაც ყველაზე მაღალი შედეგი აჩვენეს. დღეს მოგითხრობთ ერთ-ერთ მათგანზე, სიმაღლეზე ხტომაში ოლიმპიურ ჩემპიონზე და მსოფლიოს რეკორდსმენზე **გერდ ვესიგზე** (გდრ).

მოსკოვის ოლიმპიადის დაწყებამდე გამოშვებულ ცნობარში ეწერა: „ვესიგის პირადი რეკორდი უდრის 221 სანტიმეტრს და 48-ე ადგილი უჭირავს მსოფლიოს 1979 წლის საუკეთესო მხტომელთა სიაში“.

ახლა კი გერდ ვესიგს იცნობს მთელი სპორტული სამყარო. ის ოლიმპიური ჩემპიონი და მსოფლიოს რეკორდსმენია. მან დამაჯერებლად იასპარეზა ლუჟნიკში და აშკარად აჯობა კონკურენტებს, მათ შორის, პოლონელ იაცეკ ვშოლას — მონრეალის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონსა და მსოფლიოს რეკორდსმენს. ოლიმპიადის შემდეგ ერთი პოლონური გაზეთი წერდა: „ვშოლა დათრგუნა მეტოქეთა სიმშვიდემ და დაჯერებულობამ. არადა, სტარტის წინ ის ოლიმპიური „ოქროს“ ერთადერთ ასპროცენტიან პრეტენდენტად ითვლებოდა“.

შევახსენებთ, რომ სამმა სპორტსმენმა — ვშოლამ, ვესიგმა და მისმა თანამემამულემ იორგ ფრაიმუტმა — 231 სმ დაძლია. ვესიგი პირველივე ცდაზე გადაევლო 233 სმ-ზე გადებულ თამასასაც. ეს უკვე გამარჯვება იყო. შემდეგ ვესიგმა 236 სმ-იც აიღო და მსოფლიოს რეკორდი გააუმჯობესა.

— რატომ უნდა შემეწყვიტა შეჯიბრება, მე ხომ ყველაფერი გამომდიოდა? — თქვა ვესიგმა, — ამაში ხელს მიწყობდა ამინდი, შესანიშნავი მაყურებელი, მეტოქეთა მეგობრული დამოკიდებულება. სარეკორდო ნახტომის შემდეგ ციფრი „236“ დიდხანს მელანდებოდა. სხვათა შორის, ეს ციფრი ეწერა პლაკატებზე, რომლითაც მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ შვერინში და გოლდებერგში მხვდებოდნენ თანამემამულენი. ახლა ვოცნებობ ახალ სარეკორდო სიმაღლეზე — 240 სანტიმეტრზე. ამისთვის, ალბათ, ვარჯიშის დროს იმდენი ნახტომის გაკეთება იქნება საჭირო, რომ სიმაღლეთა ჯამმა დედამიწასა და მთვარეს შორის მანძილი შეადგინოს. მაშინ ხტომაც უფრო ადვილი იქნება — როგორც მთვარეზე. ხტომისას, რა თქმა უნდა, ძლიერ მეხმარება პირადი სიმაღლე — 201 სმ, ცხოვრებაში კი ხშირად მაყენებს უხერხულ მდგომარეობაში — მე ხომ რესტორანში მზარეულად ვმუშაობ.

ვიცი, რომ სარეკორდო სიმაღლეებზე ოცნებობს იაცეკ ვშოლა, რომელიც მოსკოვის სტარტების შემდეგ შეეცადა დაეძლია 237 სანტიმეტრი. ამასვე ფიქრობს ჩემი მეგობარი როლფ ბაილშმიდტი (სამწუხაროდ, ტრავმის გამო როლფმა ვერ იასპარეზა მოსკოვში). ვფიქრობ, ბოლომდე არ უთქვამს თავისი სიტყვა მსოფლიოს ექსრეკორდსმენს ვლადიმერ იაშჩენკოს. ველი მათთან შეხვედრას“.

• • •

სურათზე: გ. ვესიგი სარეკორდო ნახტომის დროს.

ოლიმპიადის დღეებში მოსკოვის ოლიმპიურ სოფელში მსოფლიოს 81 ქვეყნის 10 ათასამდე წარმომადგენელი ცხოვრობდა. აქ მათ ვარჯიშის და დასვენების ყველა პირობა ჰქონდათ შექმნილი.

სურათზე: იტალიის სპორტული დელეგაციის წევრები ოლიმპიურ სოფელში.

საქდესის ფოტო.

ტყვარჩელიდან... მოსკოვამდე

მის შესახებ XXII ოლიმპიადის დღეებში პრესა ბევრს წერდა, რადიო და ტელევიზიითაც გადმოსცეს ხანმესული მოგზაურის შესახებ. გულთბილი სტრიქონები ჩვენც მივუძღვენით მას — 67 წლის ქართველ პედაგოგს რაჟდენ ჭანტურიას, რომელმაც ფეხით დაფარა 2350 კილომეტრი მშობლიური ტყვარჩელიდან ოლიმპიურ მოსკოვამდე. რ. ჭანტურია XXII თამაშების საპატიო სტუმარი გახლდათ და მდიდარი შთაბეჭდილებებით დაბრუნდა ოლიმპიადის დედაქალაქიდან.

ამ დღეებში, თბილისის „დინამოსა“ და ოდესის „ჩერნომორეცის“ მატჩის შესვენების დროს, თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონზე საქართველოს სპორტის მოყვარულებმა გულთბილი შეხვედრა მოუწყეს სპორტის ვეტერანს — მას სპორტსაზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს, „დინამოს“ სტადიონისა და თბილისის ფეხბურთის ფედერაციის სამახსოვრო თასი გადაეცა.

სურათზე: რ. ჭანტურია საპატიო თასით.

ს. ვართანესოვის ფოტო.

● კალათბურთი

თორმეტი „განაწყენებული“ მამაკაცი და მათი განრისხებული მწვრთნელი

ალბათ, დაგვეთანხმებით, რომ კალათბურთელთა ოლიმპიური ტურნირი უმაღლეს დონეზე ჩატარდა და ამ უალრესად მიმზიდველი სანახაობის ყველა მონაწილემ თავის თაყვანისმცემლებს არაერთი სასიამოვნო წუთი განაცდევინა. ხოლო რაც შეეხება მსოფლიო კალათბურთის გრანდებს მათ დრამატიზმითა და დაძაბულობით აღსავსე სპექტაკლი წარმოადგინეს, რომელშიც თავიანთი უმაღლესი ოსტატობა და ემოციების ისეთი გამა ჩააქსოვეს, რომ გულგრილი ბრწყინვალე ოლიმიური სპორტის სასახლის არც ერთი მაყურებელი არ დარჩენილა. არ გამართლდა ზოგიერთი სპეციალისტის პროგნოზები, რომ ამერიკელების არყოფნა ტურნირს სპორტულ ტონუსს დაუკარგავდა.

მაგრამ ოლიმპიური თამაშები ხომ არა მარტო მომქანცველი შეჯიბრებაა, რომელიც სანუკვარი მიზნის მისაღწევად სპორტსმენისგან ფიზიკური და სულიერი ძალების უკიდურეს დაძაბვას მოითხოვს. ოლიმპიადის ერთ-ერთი ძირითადი მამოძრავებელი ძალა მისი მონაწილეების რაინდული ქცევა და ერთმანეთისადმი მეგობრული დამოკიდებულებაცაა. ყველაფერთან ერთად, ოლიმპიური თამაშები არის სითბო, ღიმილი, კეთილგანწყობის ატმოსფერო ხუთი კონტინენტის წარმომადგენელთა შორის.

რას იზამ, სპორტში გამარჯვებას დამარცხებისგან ერთი ნაბიჯი აშორებს. ადვილი წარმოსადგენია თუ რაოდენ ძნელია მარცხის განცდა, როდესაც გამოვლილი გაქვს შრომატევადი მრავალი წელი, როდესაც თვალის დახამხამებაში იმსხვრევა იმედები, ფუჭი ხდება ძალთა არაადამიანური დაძაბვა. და ეს განცდა ათკეცდება, როცა ყველაფერი გამარჯვების ყინით შეპყრობილი საკუთარი მაყურებლის თვალწინ ხდება.

საბჭოთა სპორტსმენები ოლიმპიურ იდეალებს მუდამ ერთგულად ემსახურებოდნენ. ისინი ძალების დაუზოგავად, ბოლომდე იბრძოდნენ, ხოლო, თუ გამარჯვების ქალღმერთი ზურგს შეაქცევდა მათ, მაშინ ისინი პირველნი ულოცავდნენ წარმატებას ღირსეულ მეტოქეს. გაიხსენეთ ტურიშჩევა მონრეალში, ან გაიხსენეთ ჩვენი ხელბურთელები, ესოდენ თბილად რომ მიულოცეს გამარჯვება გდრ-ის სპორტსმენებს მოსკოვში, გაიხსენეთ ლეგენდარული სანეევი, რომელმაც პირველი ადგილი უალრესად დაძაბულ, პატიოსან ბრძოლაში დათმო. ყოველ მათგანს (ამ სიის გაგრძელება უსასრულობამდე შეიძლება) ერთი წუთითაც არ დავიწყებია, რომ სპორტი უშელავათო, მძიმე ბრძოლაა, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, მათთვის იგი პატიოსნება, მეტოქისადმი, მსაჯებისა და მაყურებლისადმი პატივისცემაა.

თქმა არ უნდა, კალათბურთის საბჭოთა მოყვარულები მეტს ველოდით ჩვენი ნაკრებისგან და, ბუნებრივია, გული დაგვწყვიტა მისმა წარუმატებელმა გამოსვლამ. თუმცა შეიძლება კი წარუმატებლობა დაარქვა ოლიმპიური ბრინჯაოს მოპოვებას დღესდღეობით შენზე ძლიერ — ვიყოთ გულახდილნი — მეტოქეებთან ჭიდილში. ჩვენს მიზანს სრულიად არ შეადგენს ასპარეზობის შედეგების ანალიზი. იმისთვის, რომ მომხდარი გაიაზრო, დროა საჭირო და თანაც, ეს პირველ რიგში სპეციალისტების საქმეა.

თუმცა, წარუმატებლობის ზოგიერთი მიზეზი დილეტანტისთვისაც ნათელია. უკანასკნელ წლებში საბჭოთა კალათბურთში ერთგვარი თვითიზოლაციის ტენდენციამ იჩინა თავი. უკვე კარგა ხანია ჩვენი წამყვანი კლუბები არ მონაწილეობენ ევროპის ტურნირებში, რასაც არ შეეძლო, გავლენა არ მოეხდინა საბჭოთა ნაკრების შეხვედრების შედეგებზე „ძველი სამყაროს“ ეროვნულ გუნდებთან. ხოლო რაც შეეხება ამერიკასა და ავსტრალიაში ჩატარებულ გახმაურებულ (მეტწილად თვით ნაკრების ხელმძღვანელების მიერ) ტურნეებს, კარგი იქნებოდა გაგვეგო იმ გუნდების ჭეშმარიტი პოტენციალი, რომლებსაც საბჭოთა ნაკრები ზედიზედ, და თანაც გამანადგურებელი ანგარიშით ამარცხებდა. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მოედანზე ძლიერ მეტოქესთან ბრძოლის გარდა, ჩვენი კალათბურთელები მსოფლიოში მიღებულ მსაჯობის სტანდარტებსაც ჩამორჩნენ. სწორედ ამით შეიძლება აიხსნას ის გარემოება, რომ მეტწილად ობიექტური მსაჯობა, რომელიც წმინდა საკალათბურთო დარღვევებთან ერთად უხეშობისა და უტაქტობის ყოველ გამოვლინებას აღკვეთავდა, ჩვენი კალათბურთის მესვეურებს „ტენდენციური“ მოეჩვენათ (ეს აზრი ა. გომელსკიმ იუგოსლავიელებთან წაგებული მატჩის შემდეგ გამოთქვა). ამ წლების განმავლობაში ჩვენი კალათბურთი თავის შინაგან ფრონტზეც ინკუბაციურ პირობებში ვითარდებოდა. როლები წინასწარ ნაწილდებოდა, მოთამაშეები ერთი გუნდიდან მეორეში გადაჰყავდათ „ნაკრების უკეთესად მომზადების მიზნით“. მოკლედ, საკავშირო ჩემპიონატებმა თითქმის ყოველგვარი სპორტული ინტერესი დაკარგა როგორც მოთამაშეთა, ასევე მწვრთნელებსა და მაყურებელთა შორის. თამაშების უმეტესობა ერთგვარ „კამერულ“ ატმოსფეროში ტარდება. და ამის შედეგად სპორტსმენებში და მწვრთნელებში მორალური სიმტკიცისა და ნებისყოფის დაჩლუნგებამ იჩინა თავი (ეს ნაკრების წარმომადგენლებს ეხება), მტკიცებას არ საჭიროებს ის ფაქტიც, რომ ამ თვისებების გარეშე მნიშვნელოვანი საერთაშორისო ტურნირების მოგება წარმოუდგენელია.

აგერ უკვე რამდენი წელია, რაც ცსკა-ს უფროსი მწვრთნელი ა. გომელსკი კაუნასსა და თბილისში ჩასვლასაც აღარ კადრულობს. როგორც, წესი სწორედ ამ ქალაქებში ტარდება საკავშირო პირველობის მატჩები ყველაზე დაძაბულად. თვით გომელსკი თავის ჩამოუსვლელობას ძირითადად იმით ხსნის, რომ კაუნასელი და თბილისელი მაყურებელი მის მიმართ არაკეთილგანწყობილი არიან. ტელემაყურებლებს ალბათ ახსოვთ დაბნეული, თამაშის სადავეებდაკარგული საბჭოთა ნაკრების უფროსი მწვრთნელის სახე, როდესაც მოედანზე მისი გუნდისთვის ექსტრემალური სიტუაციები წარმოიქმნებოდა ხოლმე, რასაც მაყურებლის არანაკლებ ხმაურიანი რეაქცია მოჰყვებოდა, ვიდრე თბილისსა და კაუნასში.

დიახ, ჩვენი გუნდის ამ ერთგვარმა წარუმატებლობამ გული დასწყვიტა მის ქომაგებს. მაგრამ კალათბურთის გულშემატკივართათვის ყველაზე მეტად გულდასაწყვეტი ჩვენი მოთამაშეებისა და მათი მწვრთნელების უტაქტო ქცევა გახლდათ. ყოველთვის შეიძლება წაგების მიზეზები ტენდენციურ, არაობიექტურ მსაჯობაში, ზოგიერთი სპორტსმენის დაბალ სპორტულ ფორმაში (?!), უიღბლობაში ეძებო. მიზეზად იმის დასახელებაც შეიძლება, რომ ფორტუნამ სწორედ საბჭოთა ნაკრებს შეაქცია ზურგი (თუმცა ისიც ხომ ყველასთვის ცნობილია, რომ ფორტუნა მუდამ ძლიერის მხარეზეა). პირადად მე კი, კალათბურთის რიგით გულშემატკივარს, დამამახსოვრდა ჩვენი ნაკრების უფროსი მწვრთნელის გამუდმებული აპელირება მსაჯთა მიმართ, მიშკინის მუშტების ქნევა პირდაპირ მოედანზე, ტკაჩენკოსა და ბელოსტენის სახეზე აღბეჭდილი გამომწვევი, იქედნური ღიმილი. მე (და არა მარტო მე) სირცხვილით დავიწვი, როცა არც ერთმა საბჭოთა მოთამაშემ (მწვრთნელებზე ლაპარაკიც ზედმეტია) გამარჯვება არ მიულოცა საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე მდგომ იუგოსლავიელებს. არც მათ და არც იტალიის ნაკრების წევრებს საბჭოთა მოთამაშეების ტაში არაფერს შემატებდათ — ოქროსა და ვერცხლის პრიზიორებმა თავიანთი თამაშით საკმაო ოვაცია დაიმსახურეს.

დიახ, კალათბურთელთა ოლიმპიურმა ტურნირმა ჭეშმარიტი სიამოვნება მიანიჭა სპორტის ამ სახეობის მოყვარულებს. მაგრამ ჩემს მეხსიერებაში ამ შესანიშნავ წუთებთან ერთად სამუდამოდ დარჩება თორმეტი ბავშვივით გაბუტული გოლიათი და მათი თავგასული „აღმზრდელი“. და მე მინდოდა მეკითხა ჩვენი კალათბურთელებისთვის და მათი მწვრთნელებისთვის: „კი მაგრამ, ხალხო, ვისზე ხართ განაწყენებული?“

თ. ჯაფარიძე.

მოსკოვი, ივლისი.

● ფეხბურთი

სტატისტიკოსის ბლოკნოტში

მოგვყავს სსრ კავშირის 43-ე საფეხბურთო ჩემპიონატის მე-20 ტურის სტატისტიკური მონაცემები.

„ტორპედო“ — „სპარტაკი“ 0:2 (0:1). ტორპედოელთა კარში ორივე ბურთი გაიტანა როდიონოვმა. მე-20 წუთზე კოვალიოვმა („ტორპედო“) კარს ააცილა პენალტი.

გაფრთხილებულია ტორპედოელი პრიგოდა.

დუბლიორები — 2:6.

„ფახთაქორი“ — „ნეფთჩი“ 2:2 (1:2). ბაქოელები ამ მატჩში ორჯერ დაწინაურდნენ (ყურბანოვი, პონომარიოვი) და ტაშკენტელებმა ორივეჯერ გაათანაბრეს ანგარიში (ანტონოვი, იაკუბიკი).

დუბლიორები — 3:1.

„დინამო“ კ. — „ქაირათი“ 5:0 (2:0). ბურთები გაიტანეს ბურიაკმა (პენალტი), ბლოხინმა, ევტუშენკომ, ბესონოვმა და დემიანენკომ.

გაფრთხილებულია კიეველი კაპლუნი.

დუბლიორები — 1:0.

„შახტიორი“ — „არარატი“ 2:2 (1:0). დონეცკელი ვარნავსკის მიერ გატანილი გოლის შემდეგ მელიქიანმა აიღო „შახტიორის“ კარი. მერე სტარუხინმა პენალტი გაიტანა „არარატის“ კარში, მაგრამ იმავე მელიქიანმა კვლავ აღადგინა თანაფარდობა.

გაფრთხილებული არიან ერევნელები ბონდარენკო და ოჰანესიანი.

დუბლიორები — 1:2.

ასკ რ. — „ზენიტი“ 0:0. ლენინგრადელმა გოლუბევმა ვერ გამოიყენა პენალტი. ბურთი აიღო მეკარე რადაევმა.

დუბლიორები — 2:2.

„ყუბანი“ — ცსკა 0:1. გადამწყვეტი ბურთი გაიტანა ჩესნოკოვმა.

გაფრთხილებულია დუბინინი (ცსკა).

დუბლიორები — 0:2.

„დინამო“ მნ. — „კარპატი“ 3:1 (1:1). ანგარიში გახსნეს ლვოველებმა (დუბროვნი). შემდგომში ბოროვსკიმ, კურნენკომ (პენალტი) და სოკოლმა წინ გაიყვანეს „დინამო“.

მინდვრიდან გააძევეს ლვოველი დუმანსკი და მინსკელი ვასილევსკი.

აღსანიშნავია, რომ ამ მატჩში „კარპატი“ თამაშობდა უფროსი მწვრთნელის გარეშე. გუნდი დატოვა ი. სეკეჩმა.

დუბლიორები — 4:1.

„ლოკომოტივი“ — „დინამო“ მ. 3:0 (0:0). დინამოელთა კარში 2 ბურთი გაიტანა ავერიანოვმა, ერთი — მუხანოვმა.

დუბლიორები — 0:0.

იმასთან დაკავშირებით, რომ სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები ემზადება და მონაწილეობს მსოფლიო პირველობის შესარჩევ ტურნირში, საკავშირო ჩემპიონატში შესვენებაა 8 სექტემბრამდე.

უმაღლესი ლიგა

გათამაშების ცხრილი

დუბლიორთა შემადგენლობანი

მდგომარეობა 24 აგვისტოსთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტ.“	20	13	2	5	47—22	28
„დინ.“ კ.	19	11	6	2	37—22	28
„ნეფთ.“	20	10	8	2	32—19	28
„ტორპ.“	20	11	5	4	31—23	27
„დინ.“ მ.	20	10	7	3	28—15	27
„ფახთ.“	20	10	3	7	26—21	23
„დინ.“ თბ.	20	8	7	5	37—26	23
„დინ.“ მნ.	19	7	6	6	23—21	20
„არარ.“	20	6	7	7	22—28	19
„კარპ.“	20	6	7	7	22—31	19
„შახტ.“	19	7	4	8	30—29	18
ასკ რ.	20	5	8	7	23—22	18
„ზენიტი“	19	5	8	6	23—27	18
„ქაირ.“	20	2	10	8	12—26	14
ცსკა	20	6	1	13	27—39	13
„ჩერნ.“	20	3	6	11	15—28	12
„ყუბანი“	20	3	5	12	15—34	11
„ლოკომ.“	20	2	6	12	13—31	10

„ოქროს ბუცის“ მფლობელი



როგორც ცნობილია, ფეხბურთში დაწესებულია პრიზი „ოქროს ბუცი“, რომელიც ყოველ წელს გადაეცემა ევროპის ეროვნული ჩემპიონატების საუკეთესო ბომბარდირს.

პრიზის წლევანდელი მფლობელი გახდა 21 წლის ბელგიელი ერვინ ვანდენბერგი, რომელიც „ლიეჟის“ ღირსებას იცავს. სპეციალისტები მის დადებით მხარეებად მიიჩნევენ სისწრაფეს, ტექნიკას, ტაქტიკურ აზროვნებას. ევროპის წლევანდელ ჩემპიონატზე იტალიაში იგი სათადარიგოთა სკამზე იჯდა, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ ვანდენბერგი დავიწყებული იყო. პირიქით, ახალგაზრდა თავდამსხმელს, რომელმაც განვლილ სეზონში 39 გოლი გაიტანა და „ოქროს ბუცის“ ლაურეატი გახდა, მოსვენებას არ აძლევენ „ბირმინგემის“, „ბარსელონის“, „იუვენტუსის“ ხელმძღვანელები. „ჯერჯერობით არსად არ ვაპირებ წასვლას, აქ, ჩემს სამშობლოშიც კარგად ვგრძნობ თავს,“ — განაცხადა თავის ერთ-ერთ ინტერვიუში ევროპის საუკეთესო ბომბარდირმა ერვინ ვანდენბერგმა.

ქვემოთ ვაქვეყნებთ იმ ფეხბურთელთა სიას, რომლებმაც თავიანთი ქვეყნის პირველობაზე ყველაზე მეტი გოლი გაიტანეს განვლილ საფეხბურთო სეზონში:

ალბანეთი — კოვაჩი („ტომერი“) — 18 გოლი, **ბელგია** — ვანდენბერგი („ლიეჟი“) — 39, **გფრ** — რუმენიგე („ბაიერნი“) — 26, **ბულგარეთი** — ჩევიზოვი — (ცსკა „სეპტემვრიისკო ზნამე“)—29, **ჩეხოსლოვაკია** — ლიჩკა („ბანიკი“) — 18, **დანია** — ნილსენი („ესბიორგი“) და ერიქსენი („ოდენზე“) — 20-20, **გდრ** — კიუნი („ლოკომოტივი“, ლაიფციგი) — 21, **ინგლისი** — ბოიერი („საუთჰემპტონი“) — 23, **ფინეთი** — სუონენი („ტპს“) და ისმაილი („ჰიკ“, ჰელსინკი) — 15-15, **საფრანგეთი** — ონისი („მონაკო“) და კოსტედე („სტად ლავალი“) — 21-21, **საბერძნეთი** — ბაევიჩი (აეკ) — 25, **ჰოლანდია** — კისტი („ალკმაარი“) — 28, **ირლანდია** — კემპბელი („შემროკ როვერსი“) — 22, **ისლანდია** — ტორლეიფსონი („ვიკინგერი“) — 18, **იტალია** — ბეტეგა („იუვენტუსი“) — 16, **იუგოსლავია** — სუშიჩი („ფკ სარაევო“) და კოსტიჩი („ნაპრედაკი“) — 17-17, **ლუქსემბურგი** — ლანგერსი („უნიონ ლუქსემბურგი“) — 25, **მალტა** — ფარუჯია („ფკ ლავალეტა“) — 25, **ჩრ. ირლანდია** — დიქსონი („კოლრეინი“) — 19, **ნორვეგია** — ივერსენი („ვაალერენგენი“) — 16, **ავსტრია** — შახნერი („აუსტრია“) — 34, **პოლონეთი** — კმეჩიკი („ვისლა“, კრაკოვი) — 24, **პორტუგალია** — ჟორდა („სპორტინგი“) — 31, **რუმინეთი** — კამპეანუ („ნაპოჩა“) — 24, **შოტლანდია** — ზომნერი („სტ მირენი“) — 25, **შვეცია** — ვერნერი („ჰამერბი“) — 14, **შვეიცარია** — სულზერი („გრასჰოპერსი“) — 21, **ესპანეთი** — კინი („სპორტინგი“) — 24, **თურქეთი** — მუსტაფა („ალთაი“, იზმირი) და ბანტიარი („ბურსასპორი“) — 12-12, **უნგრეთი** — ფაზეკაში („დოჟა უიპეშტი“) — 36, **კვიპროსი** — კაიფასი („ომონია“) — 21.

* * *

სურათზე: ე. ვანდენბერგი.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

თამაზ ჭეიშვილი.

გახსოვს?
ჩვენთან,
ნაძალადევი...

2. ფეხბურთს მხოლოდ ბიჭები თამაშობენ!

ჩვენს ქუჩაზე ბევრი გოგო ცხოვრობდა. ისინი ჩვენი ბავშვობის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ და თითოეული მათგანის სახე წმინდა ხატებასავით ჩამებეჭდა მეხსიერებაში. იმ გოგონათაგან განსაკუთრებით ერთი მათგანი, ციური დამამახსოვრდა.

განსაკუთრებით იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, გოგონებთან თითქმის არ თამაშობდა, მეორეც, ჩვენსავით ოსტატურად კენწლავდა ავჭალურს (ზოგჯერ უკეთესადაც), ჩვენსავით დაცოცავდა ხეებზე, სახურავებზე, თამაშობდა კოჭობანას და ჯილა კოჭს ყოველთვის ალჩუზე აჯენდა...

ფეხბურთზე იყო შეყვარებული, როგორც კი თამაშს დავიწყებდით, ფეხებში გვებლანდებოდა, გვემუდარებოდა, ყელს გამოიგლეჯდა ხვეწნით — კარში მაინც დამაყენეთო! — ჩვენ მტკიცედ გვწამდა, რომ ფეხბურთს მხოლოდ ბიჭები თამაშობენ, ამიტომ „მოედნის“ სიახლოვეს არ ვაკარებდით. ციურს საკუთარი ბურთი ჰქონდა, როცა ტრადიციულ უარს მიიღებდა, დადგებოდა შორიახლოს და დაიწყებდა კენწლას. კენწლავდა ფეხებით, მუხლებით, თავით და შეეძლო ასე უსასრულოდ ეკენწლა და ეკენწლა...

ჩვენ ეს გვაღიზიანებდა, რადგან უბანში მასსავით ბურთს ვერავინ კენწლავდა...

ერთხელ, მეზობელი ქუჩის ბიჭებს ვეჯიბრებოდით. თამაშის დროს ჩვენმა მეკარემ ჟორა ნინიძემ (მეტსახელად „მარღანიამ“) ფეხი იტკინა. ვინაიდან „ოფიციალური შეხვედრა“ ტარდებოდა, მცველს, ნახევარმცველს, ან თავდამსხმელს კარში ვერ ჩავაყენებდით და მაშინ პირველად მივანდეთ ციურს გუნდის ღირსების დაცვა...

ახლა ვწერ ამ სტრიქონებს და ვფიქრობ, რამ შეგვაყვარა პატარა ბიჭებს ფეხბურთი ასეთი ერთგულებით, ასეთი ფანატიზმით? რა იყო ამის მიზეზი, რა გვიბიძგებდა, რა გვაძლევდა ნებისმიერ პირობებში გვეთამაშა გიჟური თავდავიწყებით, თავგანწირვით?

ბავშვები გულმოდგინედ ცდილობენ უფროსებს მიბაძონ. ჩვენ ვის ვბაძავდით? რასაკვირველია — მამებს, უფროს ძმებს და, თქვენ წარმოიდგინეთ ბაბუებსაც კი, რომლებიც ფეხბურთის არც ერთ მატჩს არ აცდენდნენ, ზეპირად იცოდნენ თბილისის „დინამოს“ ყველა თაობის საუკეთესო ბომბარდირთა, მცველთა, ნახევარმცველთა და გოლკიპერთა ბიოგრაფიები. იცოდნენ მათი „პობედებისა“ და ახლადშემოსული „ვოლგების“ ნომრები.

ეს ის დროა, როცა ძიაპშიპას პაიჭაძის, ანთაძის, ღოღობერიძის, ზაზროევის, ელოშვილისა და სხვათა სახელები ყველას პირზე გვაკერია და თითოეული მათგანი ვცდილობთ რაიმე მოძრაობით, უმნიშვნელო ილეთით, ბურთის მკერდით ან ფეხით შეჩერებით დავემგვანოთ რომელიმე მათგანს. ამ დროს ახალგაზრდა ზაურ კალოევზე ნაძალადევში დიდ იმედებს ამყარებენ, ხოლო „დინამოს“ მომავალ „ვარსკვლავებზე“ წარმოდგენაც კი არა აქვთ. „ვარსკვლავები“ ჯერ კიდევ ცხვირმოუხოცელი ღლაპები, ალბათ ფეხშიშველები დატანტალებენ ბანძაში, ქუთაისში, თბილისში...

ახლა კი ისევ ქუჩის ბიჭებს დავუბრუნდეთ: ციურიმ ბევრჯერ დაიცვა ჩვენი გუნდის ღირსება ქუჩებს შორის გამართულ შეჯიბრებებში, მაგრამ რაც მას შემდეგ მოხდა, ალბათ არც ერთი ქვეყნის საფეხბურთო მატიანეში არ ეწერა და ვერც ვერსად გაიგონებთ...

ერთ დღეს ქუჩაში მოთამაშეებს, ჩვენი სახლმმართველი სოლიკო მოგვადგა.

— ორ კვირაში რაიონის პირველობა იწყება ქუჩის გუნდებს შორის და გეგმაში მიზიხართო, გვაუწყა.

...მახსოვს ჩვენი გუნდის პირველი ოფიციალური ფორმა. (ერთი ზომის) გრძელსახელოებიანი თერთმეტი ცალი აგურისფერი მაისური და გაცვასვლელ ხიდთან მდებარე მაღაზიაში შეძენილი (ასევე ერთი ზომის) შავი ტრუსები (დიდი, თეთრი იარლიყებით).

თამაში ერთ კვირაში იწყებოდა და ლოტკინის მთის პატარა მინდორზე დავიწყეთ სიარული სავარჯიშოდ. მომიტევონ მეოთხე, მეექვსე და „ბოტეს“ სკოლის (იგივე მეხუთე სკოლის) პედაგოგებმა თუ იმ ერთი კვირის მანძილზე აკურატულად ვაცდენდით ხან ორ, ხან სამ გაკვეთილს: თავგამოდებით ვვარჯიშობდით და, სულწასულები, დღეებს კი არა საათებს ვითვლიდით. და აი იმ სანუკვარმა ჟამმაც დაკრა...

თამაშები „ფეზეოს“ მინდორზე უნდა ჩატარებულიყო. პირველი შეხვედრა მუშკორის ქუჩის გუნდთან გვქონდა. მატჩი ხუთ საათზე დაენიშნათ და, მოლაპარაკების თანახმად, ბიჭები პლეხანოვის კლუბთან, დალაქ ვასოს სახელოსნოს წინ სამზე შევგროვდით.

●

(დასასრული მე-4 გვ.)

ხ. ცინცაძის ნახატი.

წყალბურთი... უბურთოდ



წყალბურთი თავისთავად წყალში ბურთით თამაშს გულისხმობს, მაგრამ, ნახეთ, როგორი დაძაბულია მათი ბრძოლა ბურთის გარეშეც. ეს ფოტოკადრები, ობიექტივმა რომ „გააჩერა“, ამის უტყუარი დასტური გახლავთ, რაოდენი დინამიზმი, პლასტიურობაა სპორტსმენთა ყოველ მოძრაობაში, ჟესტსა თუ მიმიკაში...

ა. გურასაშვილის ფოტოები.



საინტერესო გამოფენა

„ლენინგრადის ფეხბურთი“ — ასე ეწოდება გამოფენას, რომელიც მოეწყო ნევისპირა ქალაქის ისტორიის მუზეუმში. ინიციატივა აიღეს ლენინგრადის ფეხბურთის ვეტერანებმა — ძმებმა დიმიტრი და ვალენტინ ფიოდოროვებმა, რომლებმაც შეაგროვეს მრავალი ფოტოსურათი, აფიშა, ცნობა, წარსულში ცნობილ სპორტსმენთა პირადი ნივთები, სამკერდე ნიშნები, რომლებიც მოგვითხრობენ სამამულო ფეხბურთის წარმოშობის, განვითარებისა და აწმყოს ეტაპებზე.

გამოფენაზე საგანგებო ადგილი უკავია მასალებს, მიძღვნილს ლენინგრადელ ფეხბურთელთა მონაწილეობისადმი ფაშისტ დამპყრობელთაგან სამშობლოს დაცვისათვის დიდი სამამულო ომის წლებში. საინტერესოა ორი „ბლოკადის მატჩი“, რომლებიც მოეწყო ლენინგრადში, როცა მას ბომბავდნენ, ადამიანებს კი შიმშილისგან ძალა ეცლებოდათ.

ექსპოზიცია მთავრდება ამასწინანდელი ოლიმპიური საფეხბურთო ტურნირის შესარჩევი მატჩების ამსახველი მომენტებით.

ფინიშზე — მეორე

ბრატისლავა. დამთავრდა სლოვაკიის 24-ე ტრადიციული მრავალდღიანი ველორბოლა. ასპარეზობის 1212—კილომეტრიანი ტრასის დაძლევას ჩეხოსლოვაკიელმა სპორტსმენმა ი. შკოდამ ყველაზე ნაკლები დრო — 30:54.42 მოანდომა. მეორე ადგილზე ოლიმპიური ჩემპიონი ს. სუხორუჩენკოვია — 30:59.04.

ბოლო — მეათე ეტაპი ჩეხოსლოვაკიელ მ. სიკორას გამარჯვებით აღინიშნა.

ჩემპიონთა თასზე

ინსბრუკის ყინულზე გრძელდება ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მეორე გათამაშება ჰოკეიში. ბრატისლავის „სლოვანმა“ მორიგ მატჩში დაამარცხა მოდოს აიკი — 8:4.

ეტყობა ამ შეხვედრას მთელი ძალა შეალიეს გამარჯვებულებმა, რომლებმაც მომდევნო შეხვედრა დათმეს ტამპერეს „ტაპართან“ — 2:10.

ასპარეზობას კი სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონები ცსკა-ს ჰოკეისტები ლიდერობენ, რომლებმაც 7:1 დაამარცხეს „მოდი-პიაკის“ გუნდი და დაწინაურდნენ.





გახსოვს?
ჩვენთან,
ხამალაღები...

(დასასრული).

გუნდის კაპიტანმა პაატა ხუციშვილმა თვალი გადაგვავლო და გაკვირვებულმა წამოიძახა:

— ყორა სად არის? (ყორა ნინიძე ჩვენი მეკარე იყო).

— დაველოდოთ! — თქვა ვილაცამ და ჩვენც დაველოდეთ. გავიდა ნახევარი საათი...

ამ დროს დეპოს მხრიდან რიხინ-რიხინითა და ხრიალით ყორას უმცროსი ძმა გამოჩნდა „სამაკატზე“ ამხედრებული. ბიჭს ტრუსები ეცვა, სახე, შუბლი, მუცელი, ხელები და ფეხები ერთიანად შავი თუთის წვენით ჰქონდა მოთხვრილი.

— მამაჩემმა ყორა გლანდების ოპერაციის გასაკეთებლად წაიყვანა და ვერ მოვა! — გამოგვიცხადა და ასე ხრიალ-ხრიალით საკმაოდ შორ დისტანციაზე ჩაგვიარა.

ამ თავზარდამცემმა ინფორმაციამ ყველა დაგვაბნია და ლამის აგვატირა. ამ დროს მოულოდნელად ციური გამახსენდა. ალბათ, ყველას ერთდროულად გაგვახსენდა. იგი ფეხბურთის საყურებლად წამოგვყვა და შორიახლო იდგა. ყველანი მივცვივდით, პაატამ ხელი სტაცა და სადალაქოში შეარბენინა. ბედზე, სავარძელი ცარიელი იყო. ვასომ ციურის თავი ხუთ წუთში ახალმოჭრილი შაურიანივით აალაპლაპა. მოტვლეპილ თავზე ოდეკოლონიც დაასხა, როგორც წესი და რიგი იყო, თან დააყოლა — ცოლის მოყვანამდე ოქროს ქოჩორი ამოგივაო! — ამის შემდეგ ლევზელებისა და გაზიანი წყლისთვის ჩვენს მიერ მოგროვილმა ფულმა პაატას ჯიბიდან დალაქ ვასოს მუჭაში გადაინაცვლა.

— სახლში მომკლავენ! — ამის თქმაღა მოახერხა გოგომ.

მოედანზე გაოფლილები და აქოშინებულები გავცვივდით. ზონარებსა და აჩეჩილ მაისურებს გზადაგზა ვისწორებდით.

— ხუთი წუთიც რომ დაგეგვიანათ, „პარაჟენიას“ ჩამიწერდნენ. მე კი გეგმაში... ტრუსები... მაისურები! — ბუზღუნებდა სოლიკო.

მოედნის შუაგულში უსიტყვოდ მოვიწყვეთ, მოწინააღმდეგე გუნდს არეულად მივესალმეთ და მინდორზე გავნაწილდით...

პირველ ტაიმში გაუბედავად ვითამაშეთ. პასებს ვკარგავდით, ხშირად ვეცემოდით. ბიჭები აშკარად ღელავდნენ... მხოლოდ ციური იდგა კარში უდარდელად. ერთი-ორი დარტყმა მართლაც ოსტატურად მოიგერია, მერე დიდი ნახტომიც გააკეთა და მუშტით მოგერიებული ბურთი ზედა ძელს იქით გადააგდო. „ტრიბუნებზე“ ტაშმა „იქუხა“.

მეორე ტაიმში ერთი ბურთი პაატამ გაიტანა, ერთიც მისმა ძმამ და ამ ანგარიშით დამთავრდა ის თამაში.

ვინაიდან „[illegible]“ [illegible]ონს საშხაპეები არ გააჩნდა, თამაშის შემდეგ სოლიკომ ყველანი საზოგადოებრივ აბანოში დაგვპატიჟა ღრმაღელეში (რა თქმა უნდა, ციურის გარდა. იგი ჩუმად გავაპარეთ). აბანოს შემდეგ სახლმმართველი სოლიკო გაზიანი წყლითა და ლევზელით გაგვიმასპინძლდა.

და... ყოველი თამაშის დამთავრებისას, როცა აბანოს შემდეგ სალევზელეში მივყავდით სოლიკოს, სინდისის ქენჯნას განვიცდიდით, რომ ჩვენი გუნდის გოლკიპერი ციური ჩვენს გვერდით არ იყო.

მომდევნო ექვსი თამაში პირდაპირ გამანადგურებელი ანგარიშით მოვიგეთ და მსაჯთა კოლეგიამ ერთხმად გვაღიარა რაიონის ჩემპიონებად.

სოლიკოს მაჯის საათი „პობედა“ გადასცეს საჩუქრად. გამარჯვებულებს ცნობილი ფეხბურთელი შავგულიძე გვაჯილდოვებდა.

რა დამავიწყებს იმ ძვირფას დღეს, როცა ქუჩის ბიჭებს, დიდი მწვანე მინის თასი და დიპლომები გადმოგვცეს... ხოლო მეკარე ყორა ნინიძე (იგივე ციური), გუნდის კაპიტანი და მისი ძმა, მარცხენა გარემარბი ავთანდილი საუკეთესო მოთამაშეებად აღიარეს. სიხარულის ცრემლებს ვერ ვმალავდით. ციურის, პაატას და ავთანდილს ჰაერში ვაბურთავებდით, ვხტოდით, ვყვიროდით, მერე როგორც იქნა დავშოშმინდით და ის იყო სოლიკოს მეთაურობით გასახდელისკენ უნდა წავსულიყავით, რომ მთავარი არბიტრი მოგვიახლოვდა. —ალბათ ინტუიციით მივხვდით რაც უნდა მომხდარიყო — ციური ჩვენს ზურგს უკან დავმალეთ. არბიტრი ჩვენს რიგებში შემოვიდა, — მიგვწი-მოგვწია და...

—შენ, ბიძიკო ბიჭი ხარ, თუ....

ციური თავდახრილი დგას. ჩამავალი მზის სხივები მოტვლეპილ თავზე თვალისმომჭრელად ირეკლება და გოგონა პატარა მზეს წააგავს.

— რა გქვია, ბიძიკო შენ? — ნიკაპს ქვემოთ ფრთხილად ამოსდო ხელი და დახრილი თავი აუწია არბიტრმა ჩვენს მეკარეს.

— ცი...ციური! — წაილუღლუღა გოგომ. მსაჯი გაოცებული მისჩერებოდა რაიონის „ნომერ პირველ“ მეკარეს. ჩვენ კი თავზარდაცემულები ვიდექით. ამ დროს ირგვლივ ბლომად შეგროვდა ხალხი. აქვე იყვნენ ჩვენი მოწინააღმდეგე გუნდების მოთამაშეებიც, ჩუმად იკრიჭებოდნენ და ჩვენი „განადგურების“ მოლოდინში ნეტარებით ეჩურჩულებოდნენ ერთმანეთს...

ფეხბურთს მხოლოდ ბიჭები თამაშობენ! ამ გარდუვალმა კანონზომიერებამ სამუდამოდ დატოვა ჩვენი ციური (ამჟამად ოთხი ქალიშვილის დედა) იმ ჩემპიონატის საუკეთესო მეკარედ და ჩვენი ქუჩის გუნდის უცვლელ გოლკიპერად...

იმ ზაფხულს ამის გარდა განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. დადგა შემოდგომა:... მოვიდა ზამთარი, სუსხიანი დღეები დაიჭირა, ადრე წამოთოვა...

დეკემბრის პირველ რიცხვებში ქაჩალას ბიჭი გადასახლებიდან დაბრუნდა...

თამაზ ჭეიშვილი.

დაპირება შეასრულა

„ოღონდ „ინტერი“ იტალიის ჩემპიონი გახდეს და სიტყვას გაძლევთ, 100 კილომეტრს ფეხით გავივლით“ — ასეთი უცნაური დაპირება მილანის კლუბის მწვრთნელ ბერსელინისა და მის ასისტენტ ონესტის ეკუთვნოდათ.

მაისში „ინტერი“ მართლაც იტალიის ჩემპიონი გახდა. ბერსელინიმ და ონესტიმ შეასრულეს ეს დანაპირები — 100 კილომეტრი ფეხით გაიარეს და იქვე თქვეს, რომ იგივეს გააკეთებენ, თუ 1981 წელს „ინტერი“ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასს მოიპოვებს.

გამოთხოვების დროა

53 წლის გორდი ჰოუმ, რომელიც უკანასკნელ ხანებში „ჰარტფორდ უეილერსში“ გამოდიოდა, პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ თამაშს თავს ანებებს და მწვრთნელი ხდება.

— მე პროფესიულ კლუბებში 1946 წლიდან ვთამაშობ, — განაცხადა განთქმულმა ჰოკეისტმა — დღეისათვის ჩემს თანაგუნდელებს შორის მწყობრში არ დარჩენილა



არც ერთი, რომელიც ამ წელს იყოს დაბადებული, ყველანი გაცილებით უფრო ახალგაზრდები არიან. ეს იმას ნიშნავს, რომ თამაშისთვის თავის დანებების დრო დადგა.

მამის აზრით

მატჩი კრივში მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის წოდებისათვის ამ ტიტულის მფლობელ ლარი ჰოლმსსა და ექს-ჩემპიონ მუჰამედ ალის შორის, რომელიც ივლისში რიო-დე-ჟანეიროს ცნობილ „მარაკანას“ სტადიონზე უნდა გამართულიყო, გადაიდო, რადგან ასპარეზობამ ადგილობრივ სპორტის მოყვარულთა სათანადო ინტერესი არ გამოიწვია. ახლა იგი აშშ-ში უნდა შედგეს.

ალის ნათესავები და ექიმები ცდილობენ ხელი აალებინონ მას ამ სახიფათო გადაწყვეტილებაზე. მუჰამედ ალის მამამ ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა: „როდესაც ალი პრეზიდენტ კარტერის თხოვნით აფრიკაში გაემგზავრა, რათა ამ კონტინენტის ქვეყნებისათვის მოსკოვის ოლიმპიადის ბოიკოტისაკენ მოეწოდებინა, მე ეს აღვიქვი, როგორც სახიფათო მინიშნება“.

გუშინ მოსკოვში გაიმართა „სპორტლოტოს“ მორიგი, 34-ე ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 49“-დან

პირველი: 1 (ავიასპორტი), 17 (მხატვრული ტანვარჯიში), 23 (მძლეოსნობა), 27 (მოტოსპორტი), 39 (სამბო), 40 (ტურიზმი), შეღავათიანი ბურთულა — 14 (ფრენბურთი).

მეორე: 11 (ველოსპორტი), 15 (წყალბურთი), 28 (მაგიდის ჩოგბურთი), 36 (სლალომი), 37 (სროლა), 42 (ძალოსნობა), შეღავათიანი ბურთულა — 24 (თხილამურები).

„სპორტლოტო 5 36“-დან

პირველი: 2 (ბიატლონი), 12 (სამთო სათხილამურო სპორტი), 18 (მძლეოსნობა), 29 (ტყვიის სროლა), 32 (ფარიკაობა).

მეორე: 13 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 16 (საცხენოსნო სპორტი), 20 (ტრამპლინიდან ხტომა), 22 (ცურვა), 36 (ჰოკეი). (საკდესი).

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 99-56-47, 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-53; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-55; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.
ИНДЕКС 66435 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 უე 02349